# ივერია

1877—1888 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

გაზეთი ღირს

| თვეე | მან. | კ. | თვეე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 70 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეელის სავაჭროს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.



დაიბეჭდა ახალი საყმაწვილო

წიგნი

**ხუთი ამბავი**

ან. თუმანიშვილისა.

ფასი სამი შაური.

ისყიდება ტფილისში: ჩარკვიანის მაღაზიაში და „წერა-კითხვის საზოგადოების" კანცელარიაში ქუთაისში—ქილოსევების მაღაზიაში, გორში—ცხვეთაძის მაღაზიაში და სხვა ქალაქებში-კი კერძო კაცებთან. იქვე ისყიდება „მოლაღური". (10—2)

ქართული თეატრი

პარასკევს, 3 ივნისს,

მ. მ. ლეონიძის

უკანასკნელს, გამოთხოვების ბენეფისში

ქართულის დრამატიულის დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

**ცოლი-მეუღლე**

5 მოქმედებიანი დრამა ა. მოხსუბარიძისა.

მართა ბედკრულაძის როლს აასრულებს მობენეფისე.

II

დივერტისმენტი

III

ლეკური

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მ. საფაროვისა, ნ. გაბუნია-ცაგარლისა და ანდრონიკოვისა; ბ-ნნი აბაშიძე, კავთელი, მაქსიმიძე და სხვანი.

ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია,

დასაწყისი 8 საათზედ.


ტფილისი, 30 მაისი

ამ ნაკიანმა წელიწადმა ვერაფერი დღე შეგვმატა. დღე-კი არა, მთელი მაისის თვეც გაგვიუკემურა. საცოდავმა ვარდობის თვემ ისე გაზუნზლულმა და მოხუშულმა გაიარა, რომ ენკენისთვეც-კი მაისად გამოჩნდებოდა ამასთან. თითქმის ყოველ ცისმარეს დღეს ჭექა-ქუხილმა და კოკის პირულებ წვიმამ საცოდავს მაისს სახელი გაუტეხა და ჩვენც ხომ ჩაგვაშხამა ყოფა-ცხოვრება.

ამ კამუდმებულს წვიმებზე ყოველის მხრიდამ ისმოდა და ისმის საჩივარი. ვკონებთ არ დარჩომილიყოს საქართველოში კუთხე, რომ ნიაღვრებს, წელს, მაისში არ მიეცეს საგრძნობელი ზარალი. სად ყანები და ვენახები წაილეკა, სად სახლები დაანგრია, სად მგზავრი დაახრჩო და სხვ. და სხვ. ჯერ კიდევ ვინ იცის რა ბედი მოელის ჭირნახულებს ხშირის ავდრისაგან. შეიძლება ყანები წააქციოს, ზედ ბალახმა გადაიაროს, და მშვიდობით საიმედო, უხვო, მოსავალო! აი ნაყოფი ტყეების გაუფთხილებლობისა, გადაკაფვისა, ძირიანად ამოფხვრისა. ამას იქით, ამ გვარსავე დაყენებულს წვიმიანობაში, უნდა მოველოდეთ უფრო დიდ-წყლობას, რადგან ტყეებს თანდა-თან აკლდება.

იქნება ზოგმა უმეცარმა კიდეც იკითხოს: ტყის მოჭრას წყალ-დიდობასთან რა კავშირი აქვსო?— საანბანო კითხვა - მიგება სასაცილოა, მაგრამ უნდა მოკლედ მაინც მოვახსენოთ, ვისაც ჯერ ვერ წარმოუდგენია ამისი მიზეზი, საფუძველი. ტყე იკავებს მოსულს წვიმას, ხის ფოთლები და ფესვები ისუტვენ ნამს, აკავებენ წყალს და თითო წვეთობით შეადგენენ წყაროს, წყაროები—ფშა-ღელეს და ესენი —დიდს მდინარეს. ამ მიზეზით ზაფხულშიაც საკმარისად გვაქვს ხოლმე წყალი: სასმელად, სარწყავად და სხვაფრივაც, ბევრ რიგ მოსახმარებლად. დღეს-კი თუ ასე გაგრძელდა ტყის შემცირება, შეიძლება ზაფხულობით სრულებით უწყლოდ დავრჩეთ, მშრალი რიყის ანაბარა, და ნიაღვრის დროს-კი შევიქნეთ მსხვერპლი ადიდებულის წყლისა! მაგალითები ახლაც თვალ-წინა გვაქვს.

აგერ ბათუმის და ბაქოს რკინის გზა მრავალ-ჯერ დააზიანა წყალმა, ხიდეები შეურყია და მატარებლები შეაჩერა. ამითი, უეჭველია, რკინის გზის გამგეობას კარგა საგრძნობელს ზარალს მისცემდა.

თვითონ ქ. ტფილისშიაც ბევრს დასტაცა წისქვილები, რიყეზედ ბევრს სახლებს დაუნგრია კედლები და თაღები, გამოუთხარა საძირკვლები, ასე რომ შიგ დგომა საშიში შეიქნა და დგმურები გამოიყვანეს იქიდგან. ამის შემდეგ ეს სახლები უსარგებლონი შეიქმნენ საწყალ მეპატრონეებისთვის, რომელთაც, ვინ იცის, რამდენი ასი თუმანი, წვითა და დაგვით ნაშოვნი, ან ნავახსები, შეახმარეს ამ შენობებს!

ამ უკანასკნელთ ცოდვაში-კი, უეჭველია, თუ წყალს უდგას ფეხი, ცოტა დანაშაული თითონ მოუფიქრებელს მეპატრონეებსაც მიუძღვისთ. ან-კი დალოცვილმა ქალაქის მართველობამ რად დართო ამათ ნება ქვიშაზედ შენობისა? სახარების სიტყვები მაინც აღარ გაახსენდათ? ამას იქით დანარჩენმა რიყეზედ სახლის პატრონებმა ხომ უნდა ხელი დაიბანონ, თუ გოდორ-ყურეებით, ან კედლით არ შეიმაგრეს მტკვრის ზვირთები?

სიტყვამ მოიტანა და ქალაქის მართველობის საგულისხმოთ უნდა წარმოვსთქვათ რჩევა. თუ ქალაქი შეუდგა ხიდის აშენებას მუხრანიანთ ქუჩის პირდაპირ, მაშინ უეჭველად საჭირო შეიქნება აამაღლონ ის ქუჩაც, რომელიც მტკვრის მარცხენა მხარეს მოსდევს ჩუღურეთიდგან ახალს გაკეთებულს ალმართამდის, ან კედელი გაუვლონ, რადგან ეს ქუჩა წყალ-დიდობას გაუვალი შეიქნება ხოლმე. ამ ქუჩის შემაღლება, ჩვენის აზრით, მოითხოვს არა ნაკლებ ორის არშინისას. დღევანდელის მუსაიფით ეს დასკვნა გამოგვყავს:

ა) გავუფრთხილდეთ ტყეებს, უსწორ-მასწოროთ ნუ ვჭრით, ნუ ვაოხრებთ;

ბ) რიყეზედ, ქვიშაზედ, ნუ ვაშენებთ სახლებს, თუ საძირკვლები კლდეზედ არ დავუმყარეთ, ან თუ წყლის ამაცილებელი სიმტკიცე არ ავუგევით;

და გ) მუხრანიანთ პირდაპირ ასაშენებელს ხიდს რიგიანი ქუჩაც უნდა დაუხვდეს, რომელზედაც ყოველთვის დაუყოვნებელი მიმოსვლა შეიძლებოდეს.

ე.

## ახალი ამბავი

*** გუშინ, საღამოს 9½ საათზედ, ტფილისის ოლქის სასამართლომ ბ-ნ ხოსროევის საქმის განხილვას და 8 წლით კატორგაში გაგზავნა გადაუწყვიტა დამნაშავეს. ბრალდებული სასამართლოდგანვე ციხეში გაგზავნეს.

*** გუშინ-წინ, 29 მაისს, შუადღისას, ავლაბარში აკურთხეს ახლად აგებული და გამართული თავ-შესაფარი დანაშაულობისათვის გაგზავნილთა შვილებისათვის. კურთხევაზე დაესწრო დიდ-ძალი ხალხი. მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ ეგზარხოსმა საქართველოსამ და მთავარ-მმართებელმა თავ. დონდუკოვ-კორსაკოვმა მოახსენეს სიტყვები ქ-ნს გონჩაროვისას, რომელიც თავ-შესაფარის სასარგებლოდ ჰმართავდა კონცერტებს, აგროვებდა შემოწირულებას და სხვაფრივაც ზრუნავდა თავ-შესაფარისათვის. გამართვისათანავე თავ-შესაფარში მიუღიათ თოთხმეტი ყმაწვილი. თავ-შესაფარის გამართვისათვის დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს შეუწირავს ხე-ტყე, სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს—ხეები ბაღში დასარგველად, ბ-ნს გ. ქართველიშვილს—სამი ათასი მანეთი და ბ-ნს იზმიროვს—მიწა. თავ-შესაფარი სახლი თავიანთის შრომით აუშენებიათ ტუსაღებს.

*** ბ-ნის ევსილ კოპტონაშვილისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი შენიშვნა: ამას წინად «ივერიაში» მოხსენებული იყო, რომ ჯავახეთში იპოვება ერთი ძველი ხელთ-ნაწერი წიგნი, სახელად „ზეციდგან ჩამოსულიო". ამ წიგნის შესახებ უფრო დაწვრილებით ცნობები უნდა შეგატყობინოთ. ხსენებული წიგნი „ზეციდგან ჩამოსული" აქვს ახალქალაქის მაზრის სოფელ ბარა.

## ფელეტონი

### მამიდა ასმათი

ამბავი.

ჰუმდვნი ციცინათელას.

XIV*)

ჯერ ჭიშკარშიაც არ შესულიყო, მზეხათუნმა იცნო ასმათი და ნათელას აცნობა მამიდას მოსვლა. ახალგაზდა ქალი უეცრად წამოვარდა ზეზე, ხელ-საქნარი იქით მიაგდო. ცხენიდან ჩამოხტომაც ვერ მოასწრო ასმათმა, რომ ნათელა ყელზე ჩამოეკიდა. არც ათის წლის გაშორებული დედა და შვილი შეხვდებოდენ ერთმანეთს ასე ალტაცებით. ნათელას მთელი თავისი სიყმაწვილე მოაგონდა ამ წუთას, მამიდას კალთაში გატარებული. „ჩემი მამიდა, ჩემი!.." უალერსებდა ნათელა და თან ყოველ ნაწილს პირის სახისას ცალკე უკოცნიდა. ასმათს სიხარულისაგან ცრემლები მოერია თვალებში.

— ნათელა, აქამდის რამ გაგაძლებინა აქ უჩემოთ? მაგას მოველოდი შენგან?

— მინდოდა წამოსვლა, მაგრამ შენგან კაცი არ მომივიდა.

— რამდენჯერ მოვწერე მზეხას!..

— მე არც ერთი წერილი არ მინახავს. ახლა წავიდეთ. გადია რას შვრება?.. ჩემი თეთრი ქოჩორა ქათმები არ დაიზარდენ?..

— კი, გენაცვალე, ყველანი კარგათ არიან.

მამიდა-ძმისწული მხიარულათ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ამოვიდენ კიბეზე. აივანზე რძალ-მული ჩვეულებრივის სიყვარულით შეეგებნენ ერთმანეთს. ასმათი ისე გულ-ღიათ ექცეოდა თავის ძმას როსაფს და მის ცოლს, რომ მთელი დღე ერთს ძარღვსაც არ ამოუჩენია მის პირის სახეზე, თუ რა განზრახვით მოვიდა ის თავის ძმის ოჯახში. არც ამათ შეუნიშვნინებიათ-რა ქვრივისთვის, რომ მეორე დღეს ნიშნობას აპირებდენ. ნათელა სრულებით არას გრძნობდა. ის ახლა მხოლოდ შინ წასვლის ფიქრებში იყო გართული, ისწრაფდა მალე ენახა თავის ნაცნობი კუთხეები, გარეოდა მეზობლის ტოლ-ამხანაგებში, დილით გადიასთან ერთად დაეძახნა „ჯურრ!.." თავის ქოჩორა ქათმებისათვის და მერე საუზმე მიერთმია. მისი ნორჩი ყმაწვილური გამოხატულება სულ ამისთანა სურათებს დასტრიალებდა გარს. იმ დღეს მამიდას გვერდით აღარ მოსცილებია.

არც როსაფს და არც მზეხას არაფრათ ეპაშნიკათ ნათელას ამ გვარი განაზება, მაგრამ ცდილობდენ ასმათისათვის არა შეენიშნინებინათ-რა. სადილს უკან ასმათმა აზნაური შინ დაითხოვა ცხენებიანა. მის ძმას ეს კიდეც იამა, ეგონა ასმათი ნათელას წაყვანას მოინდომებდა, ეშინოდა გაძალების დროს რაიმე უსიამოვნობა არ შემთხვეოდა. თუმცა ასმათის დარჩენა სასიამოვნოთ მიიღო ცოლ-ქმარმა, მაგრამ გულში დაფარული მაინც ვერ განუცხადეს.

ამასობაში ასმათი და ნათელა დარჩენ აივანზე მარტოდ-მარტო.

— შვილო, შენ სად წვები!—ჰკითხა მამიდამ ნათელას.

— მე ბიცოლასა და ჩემ ბიძაშვილს შუა ვწვები, მარა ამაღამ შენ გვერდით მინდა დავწვე,—უთხრა ნათელამ.

— არა, შვილო, ისევ შენ ბიცოლას გვერდით დაწექი. მე რაც გითხრა, დამიჯერე. არავისთან გაამხილო. ბიცოლა შენს როდი უნდა შენი გაშვება, თუ ჩუმათ არ წაგიყვანე! ამაღამ ისევ ბიცოლასთან დაწექი და როცა ფეხზე ხელი მოგისვა, უცებ ჩამოძვერი ლოგინიდან, ბიცოლა არ გააღვიძო. ტანისამოსი რომ გაიძრო, ჩემსკენ დაალაგე. თვითონ მე ჩაგაცმევ. მერე ჩუმათ გავიაროთ კარი და წავიდეთ შინისკენ.

— კარგი, მამიდა, ამაღამ სულ არ დამეძინება. ისე გამოვძვრები საბნიდან, რწყილმაც ვერ შემიტყოს.

— აგრე, შვილო.

ამ დროს კარებში გამოჩნდა მზეხათუნი. მამიდა-ძმისწულმა უცებ შესწყვიტეს საუბარი. მზეხას არა შეუმჩნევია-რა.

— უკაცრავათ, ჩემო მულო, რომ მარტო დაგტოვე. ოჯახის საქმეებისაგან მოცლა აღარ მაქვს. ხვალ სტუმრებს მოველი, ნათესავები მომიველენ. ხომ იცი, თუ თვითონ არ გააკეთე ყოველფერი, მოჯამაგირე არას დაგეძებს.

— განა არ ვიცი, ჩემო რძალო,— უპასუხა ასმათმა. ახლა იმისთანა დროა, თუ მოჯამაგირეებს ნიადაგ არ მიყვებ-მოყვები, არაფერი გაკეთდება. ერთი თხის მწყემსი მოჯამაგირე მყავს და იმისმა ქაქანმა თავში ტვინი ამომართვა. ორიოდე თხა მყავდა და იმ დღეს ერთი შენი მოწონებული დედალი თხა მგელს შეაჭამა. თუ ვუთხარი რამე, ასე მეტყვის: ქალბატონო, თუ არ გინდებვარ, დამითხოვე, ანგარიში გამისწორე და შინ წავალო... ორი კვალი ბოსტანი მქონდა, ისიც თხებს გადააკვრეხინა. შენი მოძულებული მოვკვდე, ჩემო რძალო, თუ ახლა პრასის კვიჭი ჩემს ბაროზედ მოიძებნებოდეს.

— ჩემი მტერი ჩავარდა მოჯამაგირეების ხელში,—დასცა დასტური მზეხათუნმა.

თუმცა ასე გულ-მარტივათ სჯიდა ასმათი, მაგრამ მის ცოცხალს თვალებს მაინც არა ეპარებოდა-რა. აი, საჯალაბოს წინ შეუბეს ხარები და ტომრებით დატვირთული ურემი გაგზავნეს წისქვილზე. აი, ერთმა კაცმა მოიყვანა უშობელი, როსაფმა დაათვალიერა, შეატყო მსუქნათ იყო და უბძანა, ბოსელში დაებათ. აი, ორი ბიჭი გამოვიდა საჯალაბოდან, ჩოხის კალთები შეიკეცეს და დაუწყეს ეზოს გვა. გამდელმა ხელები დაიკაპიწა და დაუწყო გძელს ხის სუფრებს დაღულრვა.

„ქორწილს ემზადებიან",—გაიელო გულში ასმათმა და ჩაიქრიტინა. „სეირი იქნება, სიძე რომ მოვა, დედოფალი აღარ დაუხვდება. წაგიხდა, ძმაო როსაფ, ყოველივე სიკეთე, როგორც შენ ხვალინდელი ქორწილი წაგიხდეს".

მზე ჩადიოდა. ჭიშკარში ორი ცხენოსანი კაცი შემოვიდა.

— უი, ჩემო ბიძაშვილი!—წამოიძახა მხიარულებით მზეხათუნმა და გასწია შესაგებებლათ.

— მამიდა, გავიქცეთ შინ, იმ კაცის დანახვა არ მინდა,—ნათელამ მაგრათ მოსჭიდა ხელი ასმათს კაბაში.

— ნუ გეშინია, შვილო, ამაღამ გავიპარებით.

„ესენი ალბათ მექორწილენი და მაშვალნი არიან",—თქვა გულში ასმათმა. უნდათ შეიტყონ, მზათ არიან ხვალისათვის თუ არა. ითათბირეთ, მოგერთმევათ ჩემი ნათელა, როგორ არა!..

ერთი სტუმართაგანი საკვირველი მსხვილი და წარმოსადეგი აზნაური იყო, განიერი მხარ-ბეჭით, წვერ მოპარსული, და შავათ შეღებილი ულვაშები კოკობათ ჰქონდა სახეზე დაყენებული.

— უი, მამიდა რამსისხო კაცია!.. დევსა ჰგავს!—საიდუმლოთ წასჩურჩულა ნათელამ ასმათსა.

— ჩვენ თუ ამაღამარ გავიპარეთ, მაგ კაცს გაგატანებენ და ვინლაც დიდ წვერ-ულვაშებიანს მიგათხოვებენ— ჩაულაპარაკა ასმათმა.

ნათელა შიშისაგან აკანკალდა.

*) იხ. „ივერია" №№ 101, 104, 106, 109 და 110.

ლეთში მცხოვრებს გლეხს, პავლე გოგილაძეს. ეს კაცი ჩემი ახლო ნათესავია და ამ რამდენისამე წლის წინად ეს წიგნი თვითონვე მიჩვენა რაღაც შემთხვევისა გამო, მაგრამ რადგან მე მოვიწადინე წიგნის შესყიდვა, პატრონმა მაშინვე უარი მითხრა და კვლავ დამალა.

როგორც ეხლა მახსოვს, „ზეციდგან ჩამოსული“ ყდაში არის ჩასმული, რომელსაც გარედგან გადაკრული აქვს ხარის ტყავი და ხელთ-ნაწერში ყოველ წერტილს შემდეგ ნახატია წითელის მელნით დიდრონი მშვენიერი ასოები. ერთს განყოფილებაში პირველი სტრიქონი იწყება ამ სიტყვებით: «წელსა სამას ოთხსა იწყობა ამის წერვა უფლისა იესო ქრისტეს შემწეობით...

*** სოფ. ხაშმი (ტფილისის მაზრა): 24 მაისს ჩვენში ისეთი თქეში მოვიდა, რომლის მგზავსი თვით ღრმა მოხუცებულებსაც არ ახსოვთ. სწორეთ წარღვნას რამ იტყვიან, იმ წარღვნის დღე დაადგა ჩვენს სოფელს. ოც-და-ოთხს მაისის წინა ღამეს გათენებამდე შეუწყვეტლივ შხაპუნა წვიმა მოდიოდა და იმ დღეს დილით, თქვენმა მტერმა ნახოს, რაც ჩვენ სანახავი ვნახეთ. მდინარე იორმა დიდი მოვარდნა იცის და ამ დროს თუ ტალახ-წყალიც მოვარდა და ეს ტალახ-წყალი იორს შეუერთდა, მაშინ ხაშმის მიდამოს წალეკავს ხოლმე. ასე მოხდა ამ დღესაც. ეს ტალახ-წყალი, ადიდებული და გამძვინვარებული, ეცა თავადვე ადიდებულს და გამძვინვარებულს იორს და მთლად, არა თუ ყანებით აბიბინებული ხაშმისა, მუხრავანისა და სართიჭალის მინდვრები, არამედ რაც რამ ვენახები იყო, ისინიც-კი წალეკა. უფრო სამწუხარო ხვედრი ხვდა ნათლის მცემლის მონასტრის ვენახსა, რომელშიაც რაც ხეხილები იყო, ვაშლი, მსხალი, ატამი, თუ სხვა, თითქმის მთლად მოგლიჯა. ორი ასწლოვანი კაკლის ხე, რომელნიც ამშვენებდნენ ამ ვენახს, მთლად ძირიანად მოგლიჯა და გააქანა ყარაიისაკენ. ამ მონასტრის წინამძღვარი პატივცემული არხიმანდრიტი, ეს ამბავი რომ შეიტყო ქალაქში, მაშინვე ჰშფოთავდა და ცდილობდა როგორმე ეშველნა, მაგრამ აქ რა შველა შეიძლებოდა. როგორც შევამოწმეს, მარტო სამონასტრო მამულს აქ ორას თუმნამდე ზარალი მიეცა და ამის ვარაუდით, მგონია, სხვა მამულებსაც სამი ათას თუმნამდე ზიანი მოუვიდა. კიდევ კარგი, რომ სათავეში ამ მდინარეებს სიფრთხილისათვის გოდორყურეების ბურჯები აქვს ჩაყრილი, თ. ნ. ჩოლოყაშვილის მეცადინეობით, —თორემ უფრო მეტის-მეტი უბედურება მოუვიდოდა ჩვენ მხარეს წყალდიდობის გამო. ამან მდინარეებს სხვა მიმართულება მისცა და საიდაც აღრე მდინარეობა ჰქონდათ, იქით აღარ მდინარეობენ, რის გამოისობითაც ბევრი მამულები დაიხაფრება. მცხოვრებნი ძალიან შეშინებულები არიან.

*** ქუთაისი: ოთხშაბათს, 25 მაისს, არტისტმა ალ.-მესხიშვილმა აქაურის ქართულ დრამატიულის დასის დახმარებით დასდგა აქაურს ქართულს სცენაზედ „ჰამლეტი“. როგორც მოგეხსენებათ, ეს მეორე წარმოდგენაა ჰამლეტისა. პირველს წარმოდგენაში „ჰამლეტის“ როლს ბ-ნი კ. მესხი ასრულებდა, ახლა-კი, ოთხშაბათს, ბ-ნი ალ.-მესხიშვილი, რომელიც კარგა ხანია ქუთაისში იმყოფება და სცენის მოყვარეთა დახმარებით ჰმართავს რუსულს წარმოდგენებს.

*** იქიდამვე: ამ ცოტა ხანში ბ-ნმა ქორიძემ გამართა რუსული კონცერტი, კონცერტზე, სხვათა შორის, უნდა ემღერნათ რამდენიმე ქართული სიმღერაც, მაგრამ დანიშნულს დროს სამიოდე კაცის მეტი არ მისულა კონცერტზე. ამ მართლა გასაკვირის შემთხვევის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ვითომ საზოგადოებას მოსწყენოდეს სულ თითქმის ერთისა და იმავე სიმღერების მოსმენა.

*** იქიდამვე: იმერეთშიაც, როგორც ქართლში, ძლიერ ხშირია ავდრები. თითქმის ორი დღე არ გავა, რომ ქუთაისში კარგი შხაპუნა წვიმა არ მოვიდეს. ამის გამო ხან ძლიერ სიცხეა და ხან, როცა სწვიმს, საგრძნობლად ცივა.

*** ბათუმი: ქუთაისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ ამ 18 მაისს გაარჩია, სხვათა შორის, შემდეგი საყურადღებო საქმე: 16 ენკენისთვეს 1887 წ. სოფელს აკეთში (ოზურგეთის მაზრაშია), სადაც სცხოვრობენ თავადნი თავდგირიძეები, ქუჩაში შეხვედრია თანაშემწეს ოზურგეთის მოსამართლისას, ბ-ნს იუდენკოს, ასული თავ. თავდგირიძისა. თავდგირიძისას უკითხავს ბ-ნს იუდენკოსათვის თარჯიმნის შემწეობით: რა მდგომარეობაშია ჩემი საქმე შესახებ ოქროს ნივთების დაკარგვისაო! ამაზე სხვათა შორის, იუდენკომ უპასუხა თურმე, რომ რადგანაც დამნაშავე ვერ აღმოაჩინეთ, თქვენი საქმე წარვუდგინე პროკურორს მოსასპობლადაო. იუდენკოს ლაპარაკი ჯერ არ დაესრულებინა, როცა თავდგირიძისამ მოუღერა ხელში დაჭერილი მათრახი და გადაარტყა თავ-პირზე სამჯერ. მომჩივანი იმასაც სჩიოდა, ვითომ თავდგირიძისას უშვერის სიტყვებით გაელანძღოს.

როცა მსაჯულმა ჰკითხა თავდგირიძისას, სცნობთ თქვენს თავს დამნაშავეთ თუ არაო, თავდგირიძისამ აღიარა თავისი დანაშაული და მოახსენა სასამართლოს შემდეგი.

— მართალია, მე გავლახე ბ-ნი იუდენკო, სამჯერ დავარტყი მათრახი; ის დაკარგული ოქროს ნივთები მქონდა დატოვებული განსვენებულის დედისაგან, და ამის მაგიერ, რომ პირდაპირ ეპასუხნა, იუდენკომ შეხვედრისათანავე მკითხა: რატომ აქნობამდე არ გათხოვებულხართ, და თუ გნებავს, მე გიშოვნი საქმროსაო. ამ სიტყვებმა და ნივთების დაკარგვამ ისე ამაღელვა, რომ მოვიქნიე მათრახი და დავარტყი; მხოლოდ მე არ მახსოვს, დარტყმის შემდეგ ვუთხარი თუ არა ის უშვერი სიტყვები, რომელიც მოხსენებულია გამამტყუნებელს ოქმში.

თავ-მჯდომარემ გამოიტანა გამტყუნების განჩინება, რომლის ძალითაც ბ-ნი თავდგირიძისა უნდა დაამწყვდიონ ორის თთვის ვადით და უნდა გადაიხადოს საქმის ხარჯი. თუ თავდგირიძისას სურს, რომ ეხლავე არ იქმნას დაპატიმრებული, მაშინ უნდა შეიტანოს გირაოდ 50 მანეთი. თავდგირიძისამ იმ წამსვე წარუდგინა გირაო.

◆◆

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბები)

დიდი უბედურებაა, როცა გული, ცნობა და გონება ერთმანეთზე არა ჰკიდიან, ერთმანეთს გაურბიან. კაცი ის არის, ვინც გულით მოიწადინებს რასმე, ამ მოწადინებულს ცნობას დაუკვირდება, გასჩხრეკს, რომ სწორედ ეს არის მართალი გზაო, და შემდეგ გონებით გაჰზომავს, შეუძლიან თუ არა მოწადინებულის სისრულეში მოყვანა. მხოლოდ ამ გაჩხრეკ-გაზომვას, როცა ადამიანი ნამდვილად დარწმუნდება, რომ ქმნა შეუძლიან, უნდა მოზდევდეს თქმა, დაპირება, სიტყვის მიცემა. რასაკვირველია, ის უკეთესია, რომ სულ უთქმელად გააკეთოს კაცმა გასაკეთებელი და ადრევე შრომის ფასად ქებას არა თხოულობდეს, მაგრამ ეს მხოლოდ ღირსეულთა ზნეა, ადამიანს თავ-მოწონება უყვარს და სათაკილოდ ნუ ჩამოვართმევთ. მხოლოდ ის-კი მოვალეობად უნდა დაედვას ყოველს წევრსა საზოგადოებისას, რომ თქმას ქმნაც მოადევნოს და სიტყვით ნახსენები საქმითაც დაასაბუთოს ხოლმე. თორემ თუ ასე არ იქნება, ცარიელა თქმას ვერც ფონს გამოარჩება ადამიანი და ვერც წყალსა.

ამ მხრივ ქართველები ცოტა ვსუსტობთ, თქმა ძალიან ადვილად ვიცით, ისე ადვილად, რომ არც-კი დავფიქრდებით ხოლმე თქმულის აღსრულებაზედ; არა ვგევართ იმ უცხოელს, რომელიც თუ ბაგეს გახლეჩს რისამე სათქმელად, იქვე მკლავი მომზადებული აქვს, რომ ენის დანაპირევი ხელს გააკეთებინოს და მოაცემინოს. ამბობენ, ასეთი თვისება ადამიანისა უხასიათობააო. იქნება ამაზედ ის გვიბრძანონ, რომ ქართველს კაცს ბევრის თქმა და დაპირება კეთილის გულით მოზდისო, და შეიძლება მართალი ბრძანებაც იყოს, ხოლო მართალია ისიც, რომ მარტო კეთილის გულით სიკეთის მონდომება იმ გვარად სოფლის აშენებასა ჰგავს, როგორც ერთს არაკში მამალი და ძაღლი აშენებენ.

უფრო სამწუხარო და სავალალო ის არის ამ უხასიათობასთან, რომ

---

ამ დროს მსხვილი კაცი მზეხათუნთან ხელი-ხელ ჩაკიდებული ამოვიდნენ კიბეზე. მზეხას ბიძაშვილი თავით ფეხებამდის შეიარაღებული დარბაისლურათ მიესალმა ასმათსა. ნათელამ თავი ჩაღუნა; ხუჭუჭი სქელი თმა სახეზე მობურდოდა, ხელი ასმათის კაბაში ჩაევლო, თითქოს შიშობდა, იმ დევმა არ მომიტაცოსო. ასმათი მხიარული სახით გამოელაპარაკა იმ მსხვილს კაცს, ეს-კი მისჩერებოდა ნათელას, უნდოდა მისი სახე დაენახა. ნათელამ თითქოს იგრძნოვო მსხვილი კაცის განზრახვა, კიდევ უფრო ჩაქინდრა ძირს თავი.

— ნათელა, როგორ დაირცხვინე? აიღე ზევით თავი, ბავშვი-კი აღარა ხარ. თორმეტის წლის გასათხოვარი ქალი ხარ. შენი ბიცოლა ხომ გიყვარდა, რატომ აღარ მეკარები? მამიდა მოგიყვდა და მიღალატე განა?.. მოუალერსა მზეხათუნმა. ის მივიდა, ნათელას შუბლზე აკოცა, უნდოდა თავისკენ წაეყვანა, მაგრამ ქალი მამიდას კაბას მაგრათ ჩაფრენოდა.

— დარცხვენილია უცხო კაცთან, მოუბოდიშა ასმათმა. ნათელა, როგორ სოფლის გოგოსავით ირჯები, რას ჩაგიღუნავს თავი?—ვითომ წყრომით უთხრა ასმათმა. მერე წამოდგა და ოთახში შევიდა. ნათელაც თან გაჰყვა.

მზეხამ სიცილით უთხრა ბიძაშვილს:

— ჯერ არა გვითქვამს-რა ნათელასთვის, არც ასმათისათვის გაგვიმხელია, მაგრამ, ვინ იცის, იქნება იციან. ჩვენ დროს რომ თექვსმეტის წლისას ესმოდა, ახლა აკვნის ბავშვს ესმის იმდენი.

— ისე დარცხვენილია, რომ სწორეთ შეტყობილი უნდა ჰქონდეს ნათელას, —დაჰკრა კვერი სიცილით მსხვილმა კაცმა.

დაღამდა. როსაფმა და ახალ მოსულმა სტუმრებმა ცალკე ოთახში შეიკეტეს კარები. „ალბათ ქორწილის რიგს აწყობენო“, ფიქრობდა ასმათი. მზეხა საჯალაბო სახლში დატრიალებდა. მისი ქალიც მასთან იყო. დარჩნენ ასმათ და ნათელა მარტო. ქვრივმა იფიქრა: „მართალია, ამაღამ ნათელას გავაპარებო, მაგრამ მალე რომ გაგვიგონ, უსაცილოთ დაგვეწევიანო“. არ იცოდა, რა მოეგვარებინა. უეცრათ ერთმა მოხერხებულმა აზრმა გაუელვა: „მოდი, ცხენების უნაგრებს და აღვირებს გადავმალაო. სანამდის მონახავდენ, ჩვენს ბინაზე მივალთო“.

ეზოს გაღმა მზეხათუნს ბოსტანი ჰქონდა შერაგვული. იქ კვლების პირად, ღობის გაყოლება, მაღალი შამბნარი ჩაუდევდა.

ასმათი შევარდა კარდაფელილს სალაროში, გამოიტანა ყველა უნაგრები სათითოვოთ და ღობეს გაღმა შამბნარში ჩაამწკრივა ოთხი უნაგირი თავის აღვირებიანა.

ვახშამზე როსაფმა ჩვეულებრივათ მოულხინა თავის სტუმრებს. იმათაც კარგათ ასვა, თვითონაც შექეიფიანდა, სიმღერებიც თან მოაყოლეს. მერე როცა მოსასვენებლათ წავიდ-წამოვიდნენ, შუაღამე შეიქნა.

შინაურები როსაფის საწოლის ოთახში ტახტზე ჩამოიგდნენ. ნათელა გაჯიუტდა, აღარ წვებოდა. მზეხა ეფერებოდა, რას არ პირდებოდა, ნათელას მაინც არ უნდოდა ბიცოლასთან დაწოლა.

— დაწექი, გენაცვალე, ბიცოლა შენთან,—არიგებდა ასმათი:—მეც აი, აგერ მივწვები. ხელი მაინც შენთან მექნება. ჩემსა და შენ შუა მარტო შენი ბიძაშვილი იწოლება. ერთად ვიქნებით. რათიც იქნა დაითანხმეს ნათელა. იმან გაიძრო ტან-საცმელი და შეგორდა მზეხას ლოგინში. ბიცოლამ მოუქალაჩუნა და ხელებს წელზე სდებდა. ნათელა ცდილობდა ბიცოლას ხელები იქით წაეღო. ახლა მისი ალერსი აღარაფრათ ეპრიანებოდა.

— კარგი, გენაცვალე, თუ არ გიამება, აღარ მოგეხვევი. მშვიდობით, ძილინებისა—უთხრა მზეხათუნმა, გადაბრუნდა და ცოტას ხანს იქით ხვრინი ამოუშვა. ყველამ დაიძინა, ვინც იმ ოთახში იწვა. მხოლოდ ნათელას და ასმათს რული არ მოკიდებიათ. ბიჭების ფეხის ხმაც მიწყნარდა. ასმათი გაინაბა, მაგრამ გარეთ ხიდან ფოთლის ჩამოვარდნაც არ ეპარებოდა. ცოტას ხანს კიდევ ასე იყო გაყუჩებული. მერე ხელი გადააპარა ნათელას. ის მაშინვე რწყილსავით ჩაძვრა ლოგინიდან, ასმათის ლანდზე ჩაიცვა და მამიდა-ძმისწული ფეხ-აკრებით გამოიპარნენ ოთახიდან.

XV

შუაღამე გადასული იყო. ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. მათი კრიალი ბნელს ღამეს ციაგსა სცემდა. გზა კარგათ იხედებოდა. სასწორი—სამი ვარსკვლავი—გადაწეული იყო, ხოლო ცის გუმბათს გადაცილებოდა. იერუსალიმის გზა რძის ნაკადულათ სდიოდა ჩრდილოით სამხრეთისკენ.

— შეხედე, შვილო, ცა როგორ მოქარგულა და ბრწყინვალედ მორთულა! აი, ევერ, პაწია-მშვენიერი ვარსკვლავი რომ მოკიაფობს, იმას კუროს თვალი ჰქვია. ის არის შენი ვარსკვლავი, შენი ბედი. იერუსალიმის გზის პირს დასდგომია, ის შენსკენ მოეშურება ნათლად გადატკეცილის გზით. ჩვენც იმისკენ გვაქვს გზა, იმას უნდა შევეყაროთ. მისი საეტლო ძირს ძირულის პირათ ჩვენსკენ მოისწრაფის, პირ-ტიტველა, შენსავით თმა ხუჭუჭა ბიჭი. ის პაწია ბუცუცა კოკრებში ჩაგიყოფს ხელს და გაკოცებს. აბა, მაჩვენე, გენაცვალე, შენი გულ-მკერდი.

ამ სიტყვებით ასმათმა ნათელას ჩაუყო ხელი უბეში და ჩაჰკოცნა. მართლაც ამ დროს ნათელას გულში იელვა რაღაც სიყვარულის შუქმა. ამას შემდეგ ის გულ-დიათ დაადგა თავის ბედის წერის გზას და წინ მიისწრაფოდა.

— მამიდა, ჩქარა გავსწიოთ, თორემ რომ გამოიღვიძონ, მოგვეწევიან.

— გავსწიოთ, გავსწიოთ!.. იმათ გადაირბინეს ეზო და დაადგნენ დაღმართზე. ძაღლები დაედევნენ წკმუტუნით. ახლოს რომ მივარდნენ, იცნეს ასმათი და ნათელა; იმათ გალოკეს მამიდა-ძმისწული და ჩამოცილდნენ. შემდეგ ამათ იარეს ასე აჩქარებით კარგა მანძილზე ხმა გაკმენდილი. ნათელა წამის წამ შესცქეროდა ცაზე მოკიაფე პაწია ვარსკვლავსა. ის უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ ვარსკვლავიც მისკენ მიისწრაფოდა. მას თითქმის იმ წუთას ჩაუვარდა გულში პირ-ტიტველა ვაჟის სიყვარული.

— ხომ არ დაიღალე, ჩემო კურდღლის ბოცვერო?—ჰკითხა ასმათმა.

— არა, მამიდა, გავუჩქაროთ. მალე მივიდეთ.

— მალე, მალე იქნება ყოველიფერი.

— ვინ მოდის?—უცებ მოისმა ბოხი ხმა უმთვარო ღამეში.

— ნათელა შეკრთა, დაიხია უკან და გაეხვა ასმათის კალთაში.

— ნუ გეშინიან, გენაცვალე. ისინი სოფლის გზირები არიან.

— ვინ ხართ, ამ დროს რომ მოდიხართ?—კიდევ მოისმა წყრომის ხმა.

— ვინ ვიქნებით? ქალები ვართ, ზურუკეთლები. ყანაში ვიყავით და დაგვაგვიანდა, —უპასუხა მხნეთ ასმათმა.

გზირები დაუახლოვდნენ. ერთი მათგანი სოფლის ხელოსანი იყო, ასმათის ნაცნობი. მეორე ღამეში ასმათმა ვერ იცნო. ამოიღო საჩქაროთ სამმანეთიანი, უჩინა ხელში და უთხრა:

— ჩუმათ იყავი. ნურავის ეტყვი, თუ ჩვენ გვნახე.

გზირებმა გაუშვეს მამიდა-ძმისწული, ისინი დაეშვნენ საჩქაროთ დაღმართზე. მეორე გზირი ყოფილიყო როსაფის ნაყმევი. იმან იცნო ასმათი და ნათელა. მაშინვე მიხვდა, გამოპარული იქნებიანო, გაექანა და, როგორც მიუახლოვდა, მართო როსაფის ეზოსკენ ყვიროდა: „არიქა, ქალი გააპარეს, ქალიო!“ ძაღლებმა შეჰქნეს გაბრაზებული ყეფა, გამოვარდა მოურავი და შესძახა: „ვინ ხარ მაგ ღამეში, რომ ყვირიო?“

— ნათელა მოიტაცა ასმათმა.

ქართველს კაცს თქმულის, დანაპირევის ასრულება შეუძლებლობით, სიღარიბით არ მოსდის. ვინ იცის, რამდენი მანათები გაიმეტოს მუცლის ლხინად და ნადიმად, მაგრამ კეთილს საქმეზე დაპირებულს ერთს მანათს-კი ვერ გამოსთხოვებია. საქმე იმაში გახლავსთ, რომ მუცლის ლხინად და ნადიმად ფულის გამომეტებისათვის ბევრი მაგალითები აქვს თვალ-წინ, ამაში თითონაც არა ნაკლებ გავარჯიშებულია, ხოლო საზოგადო საქმეში თავ-გამოდებას-კი ჯერ მეუჩვეველია.

**

რომ ჩვენი ნათქვამი ლიტონ სიტყვად არავინ ჩამოგვართვას და რითიმე დავასაბუთოთ, რამდენსამე მაგალითს მოვიყვანთ.

აილეთ თუნდა, მაგალითად, ჩვენის გუბერნიის თავად-აზნაურობა. როგორც კრებაზედ გამოაშკარავდა, თავად-აზნაურობას კანცელარიისათვის ორის წლის განმავლობაში გროში ჯამაგირი არ მიუცია. კრებაზედ გამოანგარიშებიდგანა სჩანს, რომ ეს გარდასახადი თავად-აზნაურობას კაცის თავზე ორი მანათი შეხვდებოდაო... სულ ორი მანათი! წმინდაო იუპიტერო! განა საკადრისია ორის მანათისათვის ასეთი თავის შერცხვენა? განა ორის მანათის გაღება რომელსამე აზნაურს, ან თავადს გაუძნელდებოდა? განა ცოტა მაგალითია, რომ უმეტესი მათგანი მუცლის ლხინაც და ნადიმად წითლიანებითაც იხარჯება ხოლმე?.. ვსთქვათ, ეს მეტად მცირედი საქმეაო, გვიპასუხონ, და თავად-აზნაურთ თავი არ შეუტკივებიათო. ავიღოთ სხვა მაგალითი.

ამ სამის წლის წინად კრებაზედ იმავ თავად-აზნაურობამ სკოლებისათვის ფული გაიწერა, თავისის შვილების აღზრდისათვის გულ-შემატკივრობა გამოაცხადა, თავისის ნებით, თავისის სურვილით და მოწადინებით საზოგადო, საერთო საქმეს საშველად ხელის გაწვდომა მოუნდომა. ძალიან კარგი, მშვენიერი, კეთილი! გაიარა სამმა კაკალმა წელიწადმა და იმავ საგუბერნიო კრებაზედ ზოგიერთებმა გამოაცხადეს, რომ თავად-აზნაურობა მეტად ღარიბია, შეუძლო და დაპირებულს ვერ აასრულებსო! აი ხათა და ბალა! კაცო, თუ ვერ შეეძლო, რაღად აღსთქვა, ძალას ვინ ატანდა? კრებაზედ ბოლოს, თუ არა ვსცდებით, ისიც-კი სთქვეს თითო-ოროლამ, რომ თავად-აზნაურობას ჩაფრები მივუჩინოთ და ისე წავართვათ ფულიო. კაი ამბავია, თქვენმა მზემ! მე აღვსთქვა—ამასა და ამას გავაკეთებ, ვიცოდე ისიც, რომ ეს საქმე ჩემთვის არის სახეირო და საკეთილო, და ჩემის ხეირისათვის მევე მიგზავნიდნენ ჩაფრებს, რომ ჩემი დაპირებული ძალათი შემასრულებინონ. აბა თამასუქის პატრონისაგან იმ თამასუქითვე ფულის წართმევა ეს არის, აი, თუ გინდათ! აბა ძალად ცხონება ამასა ჰქვიან, აი! მოდი და ნუ იტყვი, რომ ეს განსაკუთრებით ჩვენი თვისებაა, თუ აქამდის ვერა და ვერ შევიგენით, რომ

სჯობს არ ქადება არასი,
ქადებულს მიუცემელსა.

**

იქნება ეს ორი მაგალითი არა კმაროდეს, ან იმით იმართლონ თავი, რომ სასკოლო ფულის ტვირთვას შეიძლება ყველანი არა ყოფილიყვნენ მოწადინებულნი, ერთ-ორს წამოეძახნოს და სხვებს უარი ველარ ეთქვათო. დავსთანხმდეთ, რომ იქნება ევრეც ყოფილიყოსო, ავიღოთ ისეთი მაგალითი, სადაც ამისთან საძრენელს ვერ იპოვნიან.

გადაავლეთ თვალი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ უკანასკნელს ანგარიშს. რაღა თქმა და განმეორება უნდა იმას, რომ ამ საზოგადოების სიკეთეს და სარგებლობას ვერავინ უარჰყოფს, ცილს ვერავინ დასწამებს და წუნს ვერავინ დასდებს. საზოგადოება უმეტესად წევრთა მიერ შეტანილის ფულით უნდა სცოცხლობდეს, რადგან კარგა ბლომა წევრები ჰყავს—427 კაცი. ვერც იმას იტყვის ვინმე, რომ საწევრო ფული ბევრი იყოს წელიწადში ექვსი მანათი, რაც თთვეში ათი შაური მოდის, კვირაში—12½ კაპ., დღეში 2 კაპიკზედ გაცილებით ნაკლები. ამისთანა მცირე შესაწირავს, მერე თავის ნებით ნაკისრს, ყველა ადვილად შეიძლებს; ძალიან გაჭირვებულისათვისაც-კი თითქმის არაფერია 2 კაპეიკის დაკარგვა, თუნდა ამ საზოგადოებაში შეტანილი ფული დაკარგულ ფულადაც ჩავსთვალოთ. წევრადაც ძალათი არავის იწვევენ, ვისაც სურს, თავის ნებით მიდის და ეწერება. ხომ ასეა? ძალიან კარგი.

აბა ახლა ჩაიკითხეთ ანგარიში. შემდგენელი ამ წიგნაკისა ამბობს, რომ წელს საზოგადოებას 4,000 მანათზე მეტი უნდა შემოსვლოდა, მაგრამ 743 მან. მეტი არ შემოუვიდაო, ე. ი. თითქმის მეხუთედი იმისა, რასაც დაპირებულები იყვნენ, ხუთს კაცში მხოლოდ ერთს შეუსრულებია თავისი სიტყვა, თქმა ქმნისაგან არ განუცალკევებია. მოდი და საზოგადო საქმე დაიწყე, მერე მაშინ, როცა საზოგადოებას ექვსი-შვიდი სკოლა თავზე აწევს, ამ სატკივარს უნდა გაუძლევს და აღზარდოს ჩვენი შვილები. შეიძლება ზოგი ჩვენგანი უცოლოც იყოს, ანგარიშში ჩასაგდები არ არის, რადგან ყველანი მამულს ეკუთვნიან, მომავალი თაობაც მამულისათვის იზრდება და ამ საერთო ვარამს ერთადვე უნდა გაუძლვნენ.

ამისთანა გაჭირებულს მდგომარეობაშია საქმე, თითონ ანგარიშის შემდგენელიც ამბობს, რომ საზოგადოების არსებობა სიკვდილ-სიცოცხლეზე იყო მისულიო, და თან უმატებს: წრევანდელს წელს კიდევ არა უშავსრა, სხვა წლებთან შედარებით ბედნიერი წელიწადიაო. კაი ნუგეშია, თქვენმა მზემ! ხუთის ლუკმის მაგიერ ერთი ლუკმა მაყლაპო და თან მანუგეშო: არა გიჭირს-რა, უწინდელზე მეტად გაძეხი და ამოივსე კუჭიო.

ეს კიდევ რა, ეს შაქარი და შარბათია. ამ ხუთის წლის წინად შემოსავალი 3,572 მანათი უნდა ჰქონოდა წევრთაგან საზოგადოებას და მხოლოდ 370 მან. მიუღია, ე. ი. მეათედი ნაწილი, ათს კაცში ერთს შეუტანია დაპირებული. აი, ყოჩაღ, აი, ბაშხადუნ, ღმერთმა საზოგადო საქმეს თქვენისთანა ჭირისუფლები ნუ მოაკლოს!

ზემოხსენებული რიცხვები-კი კარგი საწყაოა იმისთვის, თუ რამდენად წინ წავსულვართ ხუთის წლის განმავლობაში. ხუთის წლის წინად ასში მხოლოდ 10% ყოფილა თავის სიტყვის პირ-ნათლად შემსრულებელი კაცი, ეხლა 20%-ია. ხუთს წელიწადში 10% უმატნია, ერთს წელიწადში—2%-ით.

არა უჭირს-რა, კაი ასკინკილაა პროგრესის გზაზედ!

ორ-ანი

---

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ძლივს გვეღირსა ჩვენის საყვარელის პოეტის შოთას დასურათიანებული „ვეფხის-ტყაოსნის“ გამოცემა, მაგრამ ფასი ისეთი დიდია ზოგისათვის, რომ ვერ შესწვდომია. წარმოიდგინეთ, რომ კანცელარიის მოხელეს, რომლის ჯამაგირი 40 მანათს, ან 30 მანათს არ აღემატება, მოუნდა გამოწერა ამ ფრიად საჭირო წიგნისა. როგორ მოახერხოს გამოწერა, სად იშოვნოს უცბად 16 მანათი? ცოლ-შვილი აცხოვროს, თუ წიგნი გამოიწეროს? ორივე რომ საჭირო არის, ამას ყველა გეტყვით.

ამისათვის, ჩემის აზრით, კარგი იქნებოდა, რომ, როგორც რუსეთის სხვა-და-სხვა მწერლების ნაწერებსა ჰყიდიან, ისე ჩვენშიაც მოეხერხებინათ. რუსეთის მწერლების ნაწერები აი როგორ მოიპოვეს ბათუმის საბაჟოს სამმართველოს მოხელეებმა: გადასწყვიტეს თთვეში რამდენი ეძლიათ თითო კაცს გამომცემლისათვის და თთვისა და თთვის თავზე უგზავნიდნენ ფულსა, მხოლოდ თავდებად სრულად ფულის გადახდისა დაასახელეს სამმართველოს ხაზინადარი. ამ საშუალებით თითქმის ყველამ შეიძინა: პუშკინისა, ლერმონტოვისა, ტურგენიევისა, დოსტოევსკისა, გრიგოროვიჩისა და სხვების ნაწერები. ეს მშვენიერი და სასარგებლო წიგნები ეხლა ბევრს იმისთანასა აქვს, რომლებსაც „ოტნოშენიესიც“-კი არა გაეგებათრა. თითო-თითო გამომწერელი უგზავნიდა გამომცემელს თთვეში ერთს მანეთს და ბევრი მუშტარიც იპოვნა გამომცემელმა.

თუ შეიძლება და ამ გვარისავე საშუალებით „ვეფხის - ტყაოსანსაც“

---

— როგორ თუ ნათელა?—გაოცებით შესძახა მოურავმა.

— აი, ამ წამს შევხვდენ ისინი ძირულის დაღმართზე. მოურავი შევარდა როსაფის საწოლს ოთახში, სადაც კარები დაფელილი იყო და, როგორც შეეძლო, ისე დაიყვირა.

— ბატონო, ნათელა გაპარეს.

როსაფი წამოვარდა თვალების ფშვნეტით:

—რაო კაცო, რას ამბობ?

— ნათელა გააპარეს, ნათელა!..

როსაფმა ჰკრა ჯლიქვი მზეხას.

—ქალო, ნათელა რა უყავი?

— ჰა!.. ჰა!.. წამოიკრინა მზეხათუნმა, ძილისაგან გაბურბუსალებული მოუსვა ხელი თავის ქალს, რომელიც ძილში დედას გვერდით მიგორებოდა:

— ბეჩავ, რამ გაგაგიჟათ, აგერ არის, აგერ.

— აანთეს სანთელი, გადახადეს საბანი, ნახეს!.. რაღას ნახავს მათი თვალები! აღარც ასმათი იყო, აღარც ნათელა. მათ მაგიერათ მხოლოდ მათი ქალი შერჩათ ხელში.

—არიქა, ცხენები!—დაიყვირა როსაფმა, ყველანი წამოცვივნდენ: სტუმარი და მასპინძელი. გამოიყვანეს საჩქაროთ ცხენები, მერე შევარდენ სალაროში!.. საღლაა ან ჟუნაგრები, ან აღვირები!.. ვინ ეზოში დაეძებდა, ვინ ბეღელში, ვინ ბოსელში და საჯალაბო სახლში, ვერ ნახეს და ვერა.

— არიქა, ბოსტანიც დაათვალიერეთო!—შეჰყვირა ბიჭებს როსაფმა. ბიჭები გადაეშვენ ბოსტანში და ერთმა მათგანმა შამბში წამოჰკრა ფეხი უნაგერს. „აგერ არის, აგერ!..“ დაიყვირა ბიჭმა.

დაკაზმეს ცხენები. ყველაზე უმალ მზეხას ბიძაშვილი მოახტა ცხენს და როსაფს შეჰყვირა: მე წინ გავსწევ, შენ უკან მომდიე შენი ხლებულებით დიდშარაზეო. მეზობლებს გადაძახეთ, იქნება ერთი ხუთიოდე ცხენოსანი კიდევ გამოიყოლიოთო.

მზეხას ბიძაშვილს კურდღლის კვალიც არ დაემალებოდა ზურუკეთის ახლომახლო. იმან იცოდა ერთი მოკლე ბილიკი, მეტად ფრიალო და ჩაკიბული. ის იყო მარდი ცხენოსანი და თვითონ ცხენიც ნაჩვევი ჰყავდა კლდეების ღადაღუდაში თრევასა. ის დაადგა იმ ბილიკს, იქნება ან ასმათს თავი დავურბინო, ან ცხენოსნებს დავეწიოვო, რომელთაც ქალი მიჰყავთო.

მზეხას ბიძაშვილი ერთ ლანდზე ჩავარდა ძირულის პირად და დაადგა შარა გზას, რომელიც ქართლის გზატკეცილზე გადიოდა. ცოტა კიდევ წინ წაიარა. უეცრათ მოესმა ცხენების ფეხის ხმა. კარგათ ვერ შეიტყო: ქვეიდგან მოდიოდა ცხენების ფეხის ბაკუნი, თუ ზევიდან? გადმოხტა ცხენიდან, დაადვა ყური დედამიწას და დარწმუნდა, რომ ფეხის ხმა ქართლის გზატკეცილით მოდიოდა. მან გადასწყვიტა, ასმათი და ნათელა ჯერ კიდევ უკან არიანო: გამოაბრუნა ცხენი და შემოუდგა აღმართსა. ცოტას ხანს შემდეგ შენიშნა, რომ რაღაც ლანდივით გამოჩნდა ზევიდან მონავალი, წინ დიდ ლანდს პაწია მოუხტოდა. „თუ არიან, ესენი უნდა იყვნონ“,— იფიქრა გულში და წამოუჩქარა.

რაკი ასმათმა დაინახა ცხენოსანი, ღამეში მისკენ მინავალი, იმამ. „ეს უსათუოდ ოთარი უნდა იყოსო, წინ-და-წინ მოდის ნათელას წასაყვანათო“. ქალს უთხრა: „შვილო, ნუ გეშინია, ეს ჩვენი ოთარია, შეუჯექი ცხენის ტახტაზეო“. ნათელა მზათ იყო გასაყოლათ.

— ოთარ, შენ ხარ?—ჰკითხა მზეხას ბიძაშვილს ასმათმა. იმან პასუხის მაგიერათ ხელები გადმოუწვდინა, ნათელა ცხენზე აიტაცა, ასმათიც მოეხმარა. შემდეგ დაჰკრა მათრახი ცხენს და ოთხ-ამოლებით შეღმართი შეარბენინა.

ასმათი გაშტერდა. «თუ ოთარი იყო, ზევით რა უნდოდაო?..» უეცრად მოისმა ჟრიამ-კივილი და ცხენების თქრიალი. ვერ წავგიხვალთ, ვერა!—მოისმა როსაფის რიხიანი ხმა.

ამ დროს მოვარდა ქვედა გზიდგან ოთარი.

ასმათო, ქალი რა უყავი?

— შენ აკი მოგეცი?..

— რას გაგიჟებულხარ! მე სად მომეცი?.. ეს არის მე ახლა მოვდივარ ქვეიდან. უკან თუთხმეტი ცხენოსანი თანდილაანთიანთი მომდევენ.

— ვაი ჩემს უბედურებას!—იტკვლიცა ასმათმა თავში ხელი. სწორეთ იმ წყეულებმა წამგვარეს ნათელა!..

ზევიდგან ხმაურობა უფრო და უფრო გაძლიერდა. გავარდა თოფი... ერთი... ორი... სამი... ოთარმა იფიქრა, აქ დგომა აღარ ვარგაო, გააბრუნა ცხენი და მოკურცხლა ისევ ქვეითკენ. თანდილაანთიანთი დარწმუნდნენ, რომ საქმე წაგებული იყო, გააბრუნეს და დაეშვენ ძირულის მდინარეს დაღმა. ამ დროს მოვარდა როსაფი. იმას გზის პირად ქალი დაუხვდა, რომლის კბილებსაც მეტის შიშისაგან წკაპა-წკაპი გაჰქონდა. როსაფმა იცნო ასმათი და ერთი თუ ორი უშიშელა მათრახი.

— უი!.. უი!.. უი!.. მოვკვდი!.. იკივლა ასმათმა და იქვე მუხლები ჩაეკეცა.

— ევეც შენი ჯილდო, ჩემო დაია,—დაცინვით უთხრა როსაფმა:—წადი ახლა და გამოუდექი შენს ნათელას. ჩემმა ცოლის ბიძაშვილმა მოგტაცა. ბრაწი შენს საქმეს.

— ვაიმე, ვაიმე!—გულ-გახეთქილი წამოიკრინა ასმათმა.

როსაფს და მის ხლებულებს იქ აღარ მოუცდიათ. რაკი გული არხეინათ ეგულებოდათ, კრეს ქუსლი ცხენებს და გამოუდგენ შინისკენ.

XVI

მეორეს დღეს ოთარი იახლა ასმათს და ჩავიდენ ქუთაისს. ქვრივმა ერთი არზა ღუბერნატორს მიართვა, მეორე პროკურორს, მესამე ეპისკოპოსს. ყველა არზებში ერთნაირი საჩივარი იყო განცხადებული. თორმეტის წლის ქალი, მცირე-წლოვანი ობოლი, მისი ძმისწული, მოიტაცა ბიჭია გოგორიშვილმა და თავის შვილზე ჯვარი დასწერაო. ეპისკოპოსის არზაში სხვათა შორის ამასაც ითხოვდა ქვრივი, რომ ის ღვდელი გაეპარსათ, რომელმაც ჯვარი დასწერაო. ახლათ-ახლავე განაშორონ ქალი და ისევ მე ჩამაბარონო, მის ჭირისუფალს და გამზრდელსო. ეპისკოპოსი თვითონ ინახულა, მაგრამ მან ესე უთხრა:

— დედაკაცო, წადი შინ და მოუცადე განკარგულებასა. მღვდელი ვერ გაბედავდა უწლოვანის ჯვარის დაწერას.

— როგორ არა, შენი მუხლის ჭირიმე, ჯვარი დაუწერიათ, მე ეს ნამდვილათ ვიცი. გევედრები, წმინდა მამაო, მოიღოთ განკარგულება, განაშოროთ და ქალი ისევ მე ჩამაბაროთო,—დაუჩოქა ასმათმა ტირილით.

— ეგ ჩემი საქმე არ არის.

— აბა, რა ვქნა? თავს მოვიკლავ, ჩემო ხელმწიფე.

— წადი, წადი, მე შევიტყობ ყოველფერს.

— ჩემი აქედგან წასვლა მოუხერხებელია, სანამდის კმაყოფილებას არ მივიღებ.

— რას ჩივი, შე უბედურო, რაც არ გესმის. წადი.

— დამარიგე, ჩემო ხელმწიფე.

— დედაკაცო! მე შენ გატყობ, ავი უნდა იყო.

— არა, ჩემო ბატონო. ავს რა მიგავს, მაგრამ უსამართლობამ გამაბოროტა.

— წადი, ნუ დადიხარ აგრე წარამარა, ოჯახს გაუფრთხილდი.

— ღმერთმა მაგისთანა ნუგეში ნუ დაგილიოსთ!—წამოვარდა ზეზე ასმათი გაბრაზებული.

—გაიყვანეთ აქედან!—უბძანა მრისხანეთ მთავარ-დიაკონს ეპისკოპოსმა:—ვინ ყოფილა ეგ ბოროტი დედაკაცი მაგისთანა შეუგნებელი!—გატრიალდა უცებ და შევარდა თავის სამლოცველო ოთახში.

მთავარ-დიაკონმა თითქმის ჯიგლიგით გაიყვანა ასმათი დერეფანში.

— ღვდელო, როგორ უზრდელათ იქცევი? ღმერთმა მაგიერი ნუგეში მოგაგოთ. მაინც არ დაგეყრებათ თქვენ ხეირი.—წყევლა კრულვით გაშორდა ეპისკოპოსის სასახლეს ასმათი.

გ. წერეთელი

(შემდეგი იქნება)

გამოგვაწერინებთ, ძალიან კარგი იქნება. ზარე ექვსი კაცი მყავს სახეში მხოლოდ საბაჟოს სამმართველოში, რომლებიც დიდის სიამოვნებით გამოიწერავენ ამ გვარად და თვეში ორის მანათის გამოგზავნასაც შეიძლებენ.

პასუხის მიღების უმალვე, რომელიც უმორჩილესად გთხოვთ გვაცნობოთ „ივერიით“, თუ შეწყნარებული იქნება ეს წინადადება, ბათუმის საბაჟო სამმართველოს ხაზინადარის თავდებობაზედ თანხმობას ოფიციალურის ქაღალდით გამოგიგზავნით და თან პირველის თვის ხვედრს ფულსაც, რამდენ-რამდენსაც დაგვიწესებთ.

ილია გვარამაძე

# დეპეშა

28 მაისი

ვენა. „Neue Freie Presse“-საცნობებენ სოფიიდგან, რომ სამსახურიდგან უსათუოდ უნდა გადადგეს ან კონსერვატული, ან ლიბერალური დასი სამინისტროსიო. გაზეთი „თავისუფლება“ ამბობს: „თუ მთავარი ფერდინანდი არ დაამტკიცებს განაჩენს პაპოვის საქმის შესახებ, იმან უნდა ექიოს სხვა თანაშემწენი, რადგანაც სტამბულოვი არ ისურვებს, რომ თავისი სახელი სათრეველად გახადოსო. თუ სტამბულოვი სამსახურიდგან გადაღგა, მაშინ იმას თან გაჰყვებიან 25 წარჩინებული ოფიცერი. მაშინ მთავარი ფერდინანდი დაჰკარგავს სიყვარულს და ნდობას ერის წარმომადგენელთა უმეტესობისას და პრინცის მდგომარეობა, რომელიც უიმისოდაც საშიშია, კიდევ უფრო შეირყევაო“.

29 მაისი

პეტერბურგი. „Новое Время“ იუწყება, რომ პროექტი სათემო პოლიციისა ბალტიის მხარეში უკვე დამტკიცებულია ცოტაოდენის ცვლილებით.

პეშტი. გარდა იმ 98 მილიონისა და არა-ჩვეულებრივის სესხის—21 მილ. გულდენისა, რომელიც დანიშნულია სამხედრო საჭიროებისათვის, თხოულობენ კიდევ 47 მილიონსა იმავე საგნისათვის. აქედგან 30 მილიონი ეხლავე უნდა დაიხარჯოს ისეთის საქმისათვის, რომლის გადადება ყოვლად შეუძლებელია. 16 მილიონი უკვე დახარჯულია. ყოველივე ესე ვითომდა მშვიდობიანობისათვის არის საჭირო. ასე ლაპარაკობდნენ, როცა ავსტრიის დელეგაციები შეიკრიბა. დელეგაციების პრეზიდენტები ამბობენ, რომ სეფე სიტყვა მშვიდობიანის ხასიათისა იქნებაო.

პეშტი. იმპერატორმა ფრანც-იოსებმა დელეგაციებს უთხრა შემდეგი სიტყვა: მას აქეთ, რაც მე თქვენ გნახეთ ამ რამდენისამე თვის წინად, პოლიტიკაში არავითარი შესამჩნევი ცვლილება არა მომხდარა-რა. გარდაცვალებამ ჩემის გულითადის და დიდის ხნის მეგობრისამ, ვილჰელმისამ, ძალიან შემაწუხა. მე იმით ენუგეშობ, რომ ჩემსა და იმპერატორს ფრიდრიხს შუა მეგობრობა არა ნაკლებია. ჩემის სახელმწიფოისა და სხვათა ურთიერთობა წინანდებურადვე მეგობრული არის. თუ ამის მიუხედავად მმართებლობა თავის მოვალეობას ასრულებს, ესე იგი, ამაგრებს საზღვრებს, აძლიერებს ჯარებს და იძულებულია სესხი ითხოვოს, ამის მიზეზი ის არის, რომ სხვა სახელმწიფონიც მუდმივ ჯარებსა და თოფ-იარაღზე ზრუნავენ და არ ვიცით, ხვალინდელი დღე რას მოიტანს. ავსტრი-ვენგრია მზად არის დაიცვას თავისი თავი და მთელის ევროპის მშვიდობიანობა და ამით აასრულოს უუდიდესი მოვალეობა, და, თუ ღვთის ნება იქნება, შემდეგშიაც აიცილოს ყოველივე განსაცდელი, რომელიც გზაზე გადაეღობება. ამიტომაც ჩვენი სამხედრო უწყება იძულებულია სხვებს უკან არ ჩამორჩეს და სხვებსავით ძლიერი და მზა იყოს მხედრობითაც.

პეტერბურგის ბირჟა, 27 მაისი

| | მყიდველნი | | გამყიდველნი | | გაურიგდნენ | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — | „ | — | „ | 9 | 20 |
| ტამოჟნის კუპონები | — | „ | — | „ | 184½ | |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — | „ | — | „ | 1 | 39 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — | „ | — | „ | 274 | |
| —მეორისა | — | „ | — | „ | 244¼ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — | „ | — | „ | — | „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

მაისი 31 დღით არის.

31 დღე სამშაბათი. მოციქ. ერმისა და ლირს. ერმიასი. კათოლ. ანჟელიკასი. მუსულ. მე-3 რიცხვი თვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—35. მთვარე 4 დღისაა.

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი | მოდის წამი | გადის საათი | გადის წამი | სტანციები | მოდის საათი | მოდის წამი | გადის საათი | გადის წამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი | — | — | 8 | 49 | ბათუმი | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური | 11 | 02 | 1 | 17 | რიონი | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი | 7 | 08 | 7 | 10 | გომი | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო | 8 | 05 | 8 | 07 | გორი | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი | 11 | 13 | — | — | ტფილისი | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| სტანციები | მოდის საათი | მოდის წამი | გადის საათი | გადის წამი | სტანციები | მოდის საათი | მოდის წამი | გადის საათი | გადის წამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დღისით | | | | | ღამით | | | |
| ტფილისი | — | — | 3 | 21 | სურამი | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა | 4 | 19 | 4 | 25 | გომი | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი | 5 | 24 | 5 | 29 | გორი | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური | 8 | 54 | 8 | 38 | ავჭალა | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი | 8 | 50 | — | — | ტფილისი | 8 | 24 | — | — |


## კანცელარია და წიგნთ-საწყობი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა იმყოფება ახალს სადგურში, სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში, თეატრის გვერდით, №№ 109 და 110. წიგნთ-საწყობი ცალკე არის მომართული. წიგნთ-საწყობში ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნი და სახელმძღვანელოები. ვინც ქალაქს გარედ წიგნს ან სახელმძღვანელოს დაიბარებს, დაუყოვნებლივ გაეგზავნება, მხოლოდ ფოსტის ხარჯი-კი მყიდველმა უნდა გადაიხადოს. კანცელარია და წიგნთ-საწყობი ღია იქნება, გარდა კვირა-უქმეებისა, დილის 9 საათიდამ საღამოს 8 საათამდე. ვისაც კანცელარიასთან, ან წიგნის საწყობთან რამე საქმე ექნება, ამ ადრესით უნდა მოჰმართონ: Тифлисъ. Въ канцелярію (ან книжный складъ) общества распространенія грамотности, Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земел. Банка, №№ 109 и 110. (50—19)

სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსანი“

მვირფას ყდაში,

გამოცემული

გ. დ. ქართველიშვილის მიერ,

ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში.

წიგნში 27 ზიჩისაგან დახატული სურათია, მრავალი განგებ ამ წიგნისათვის შეკვეთილი ჩუქურთმის მხატვრობა და სათაური ასოები, ამოჭრილი პეტერბურგში.

წიგნი დიდის ფორმატისაა და ღირს ტფილისში 15 მანათი.

ვისაც სურს ტფილისს გარეთ დაიბაროს, ფოსტისა და გასაგზავნი ხარჯი უნდა წარმოადგინოს კიდევ ერთი მანათი.

ამ წიგნზე ხელის მომწერთ უნდა წარმოადგინონ კვიტანცია, იმათ ზედ დარჩენილი ფული და გასაგზავნი ხარჯიც ერთი მანეთი.

დაბარება შეიძლება ამ ადრესით:

Въ Тифлисъ. Канцелярія Общества Грамотности. Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, №№ 109 и 110. (5-3)

ნამდვილი საუნჯეა

ყველასათვის განთქმული წიგნი

თავის მოძღვარი

თხზ. დ—რის რეტაუსი

რუსულად გამოცემული 3-ის სურათით

ფასი 1 მანათი.

წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.

ვინც მანათს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეის წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნსა.

ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlage-Magazin in Leipzig. (50—18)

დაიბეჭდა და ისყიდება

გაზეთ „მეურნის“ გამოცემა

ვაზის ობი

(მილდიუ ანუ ვაზის პერონოსპორა),

შედგენილი

პ. ვიალას წიგნის ხელმძღვანელობით

ვ. ს—შვილის მიერ.

ფასი ორი შაური.

წერა-კითხვის გამავრცელებელ

საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ | „ | 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. | 1 | 50 |
| II ნაწ. | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 | „ |
| სამართლის წიგნი კასტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) | 3 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა | „ | 20 |
| ოტელლო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ | „ | 50 |


Доз. ценз. Тифлисъ, 30-го мая 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე